



სამუშაო არე


ორის ბუღალტერიის ინტერფეისი დაყოფილია რამდენიმე არედ. ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში მოცემულია სტატუსის ზოლი, სადაც ჩანს თუ რომელ მონაცემთა ბაზასთან მუშაობთ და რომელი მომხმარებლით ხართ სისტემაში შესული. ეკრანის მარცხენა მხარეს მოცემულია ამოცანების პანელი, სადაც არის ამოცანების ჩამონათვალი. შუა ნაწილი კი წარმოადგენს სამუშაო არეს, სადაც გააქტიურდება კონკრეტული ამოცანის კონკრეტული ეკრანი. ეკრანზე ასევე განთავსებულია ღილაკების სისტემა, რომელიც მაშინ აქტიურდება როდესაც გამოიძახებთ კონკრეტულ ამოცანას. ეკრანის ზედა ნაწილში მოცემულია მენიუების ჩამონათვალი.




განვიხილოთ თითოეული მენიუ ცალ-ცალკე. მენიუში „ამოცანები“ მოცემულია ამოცანების ჩამონათვალი, რომელიც განლაგებულია ამოცანების პანელზეც. ნებისმიერი ამოცანის გამოძახება შეგიძლიათ როგორც ამოცანების პანელიდან ასევე მენიუდან „ამოცანები“




მენიუში „რედაქტირება“ მოცემულია ღილაკების ჩამონათვალი რომელიც აქტიურდება მაშინ თუ გახსნილი გაქვთ რომელიმე ამოცანის ეკრანი. ღილაკებს გვერდით მინერული აქვთ კლავიატურაზე არსებული ღილაკების კომბინაციები, ამ კომბინაციებით შესაძლებელია სისტემის ღილაკებზე მარტივად ზემოქმედება.



მენიუდან „ხედვა“ შესაძლებელია დამხმარე ინსტრუმენტული არეების ჩართვა და გამორთვა ღილაკზე დაწკაპებით




ნებისმიერი დამხმარე არე შეგიძლიათ გამორთოთ და ამით გაზარდოთ სამუშაო არე.თუ გამორთავთ **მენიუს ზოლს** გამოსაჩენად დააწკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკით 'ორის ბულალტერიის' აპლიკაციის ქუდზე. იხილავთ შეტყობინებას :



დააჭირეთ ღილაკს „Yes“.


მომხმარებლის ინსტრუმენტებიდან შესაძლებელია კონკრეტული ამოცანის გამომძახებელი ღილაკის ზედაპირზე ამოტანა.დააწკაპეთ მენიუს „მომხმარებლის ინსტრუმენტები“ იხილავთ ეკრანს :




ეკრანში „ამოცანები“ მოძებნეთ ამოცანა, რომლის გამომძახებელი ღილაკის ამოტანაც გსურთ ზედაპირზე. ჩვენს შემთხვევაში ეკრანის ზედაპირზე ამოვიტანოთ ანგარიშთა გეგმა. დააწკაპეთ ბულალტერიის წინ მდებარე „+“ ნიშანს ,მოძებნეთ

ჩანაწერი „ანგარიშთა გეგმა“ და დააწკაპეთ მაუსი მასზე ორჯერ ან დააჭირეთ ღილაკზე.

ეკრანში „ინსტრუმენტების ზოლი“ დაემატება ჩანაწერი ამ ეკრანიდან შეგიძლიათ მართოთ სად გაჩნდეს თქვენს მიერ დამატებული ღილაკი, ეკრანის რომელ მხარეს მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით თუ ქვევით.




ასევე ჩანაწერი დაემატება ეკრანში „ღილაკები“ ამოცანის დასახელება და ამოცანის გამოსახულება.




თუ მონიშნავთ მოსანიშნს გამოსახულებასთან ერთად თქვენს მიერ ეკრანზე გამოტანილ ღილაკს მიენერება ამოცანის დასახელებაც . იმდენი ღილაკის ამოტანა შეგიძლიათ ზედაპირზე რამდენიც გსურთ.ეკრანზე ამოაქვთ იმ ამოცანის ღილაკები რომელსაც ხშირად იყენებენ.იმისათვის რომ თქვენს მიერ დამატებული ღილაკი(ები) დაემატოს ეკრანზე დააჭირეთ ღილაკს “OK”

თუ გსურთ, რომ თქვენს მიერ დამატებული ღილაკები შეინახოთ ან გაუზიაროთ სხვას, ამისათვის შედით მენიუში „მომხმარებლის ინსტრუმენტები“ დააჭირეთ ღილაკს „ფაილი“




ჩამონათვალიდან აირჩიეთ „შევინახოთ ფაილში“ ან „შევინახოთ მონაცემთა ბაზაში“

მენიუში „ხედვა“ ასევე გვაქვს „ფორმების საწყისი ზომების აღდგენა“ ,ამ ჩანაწერზე დანკაპებისას გამოდის შეტყობინება:



თუ გსურთ ეკრანებს მიენიჭოს თავდაპირველი ფორმები და ზომები, რაც იყო პროგრამის ინსტალაციის შემდეგ, ასევე წაიშალოს ბოლო შენახული სტილები, ამოცანების ზოლსაც თავიდან მიენიჭოს ზომები მაშინ დააჭირეთ ღილაკს “Yes” სხვა შემთხვევაში ღილაკს “No”

მენიუში „ფანჯარა(Window)“ არის ეკრანების მართვისათვის საჭირო ღილაკები:




როგორ განლაგდეს თქვენს მიერ გამოძახებული ამოცანის ეკრანები, ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად თუ კასკადურად. ღილაკზე „დავხუროთ ყველა ეკრანი“ დაჭერისას დაიხურება თქვენს მიერ გახსნილი ყველა ეკრანი.

თუ მონიშნავთ ჩანაწერს „ერთი და იგივე ეკრანის ბევრჯერადი გახსნა“ ამოცანის ეკრანი გაიხსნება იმდენჯერ რამდენჯერაც ამოცანების ჩამონათვალში ამოცანაზე დააწკაპებთ. „ფანჯარა(Window)“ მენიუს ჩამონათვალში გვაქვს „ენა(Language)“ საიდანაც ხდება ინტერფეისი ენის შეცვლა.

„ფანჯარა(Window)“ _ში გაჩნდება თქვენს მიერ გამოძახებული ამოცანების ჩამონათვალი, აქედან შეგიძლიათ გამოძახებული ამოცანის ეკრანზე გადახვიდეთ მარტივად, მასზე დაწკაპებით.


მენიუ „დახმარება“




ღილაკზე „ორის ბუღალტერიის შესახებ“ დაწკაპებისას გამოვა ეკრანი სადაც მითითებულია რომელი ვერსიით მუშაობთ, როდისაა ეს ვერსია გამოსული, როდის გააკეთეთ ბოლოს ორის ბუღალტერიის ლიცენზიის განახლება.



იმისათვის რომ გაიგოთ თუ რა ტიპის გასაღები გაქვთ შექმნილი დააჭირეთ ღილაკს „HASP_ის მდებარეობა“



დააჭირეთ ღილაკს „HASP ლიცენზიების მენეჯერი“



მენიუში „დახმარება“ გვაქვს ასევე „დისტანციური დახმარება“ რომელიც დაგჭირდებათ იმ შემთხვევაში თუ უკავშირდებით ორისის ოპერატორს და გსურთ რომ შემოვიდეს თქვენს კომპიუტერში და დაგეხმაროთ. ოპერატორს უნდა უკარნახოთ ეკრანზე მოცემული „Your ID“ და „Password“

აქვე არის „სწრაფად დაწყების სახელმძღვანელო“, „ვიდეო გაკვეთილები“, „სისტემის სიახლეები“ სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ მიმდინარე და წინა ვერსიებში დამატებულ სიახლეებს. მენიუში „სხვადასხვა“ მოცემულია დოკუმენტაცია რომელიც მოყვება სისტემას.